აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ტურიზმი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 29 აგვისტო 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12 სექტემბერი 2019 წელი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი (Tourism)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ტურიზმის ბაკალავრი, 1015
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ვასაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიანა იმნაძე, შპს მითი ტური, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე სეთურიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამა მოქმედებს ავტორიზაციის რეჟიმში ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 25 სექტემბრის N74 გადაწყვეტილების საფუძველზე. წარმოდგენილ პროგრამაზეჩარიცხულია 14 სტუდენტი, მათგან აქტიურია - 13. მიმდინარე წელს ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით შესაფასებლად წარმოდგენილ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხა 22 სტუდენტი.
აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS კრედიტს მოიცავს, საიდანაც ძირითად სასწავლო კომპონენტზე 137, ხოლო თავისუფალ კომპონენტზე 107 ECTS კრედიტი მოდის. ძირითად სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომი და პრაქტიკა (10-10 ECTS კრედიტი).

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 29 აგვისტოს. ვიზიტის წინ საკრედიტაციო ჯგუფის წევრები და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი შეხვდნენ ცენტრში, სადაც ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. ექსპერტებმა შეაჯერეს წინასწარი მოსაზრებები.
ვიზიტი დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა ვრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს და მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე, კერძოდ, სტუდენტთა საკონფერენციო მასალები, საბაკალავრო ნაშრომები და პრაქტიკის ანგარიშები.
ვიზიტი წარიმართა საქმიან, კოლეგიალურ გარემოში.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.4, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2, 5.3, ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია 2.3 და 2.5 აკრედიტაციის ქვესტანდარტებთან.

- რეკომენდაციები
  - განასხვავებს სასწავლო კურსების (PR-მენეჯმენტი (2007, 2006 და 2011 წლები); ტურიზმის დაგეგმვა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე (2010 წელი), დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი (2007, 2010, 2011 წლები), სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი (2008, 2011 წლები), პერსონალის მართვა ტურიზმში (2011 წელი), ტურიზმის მარკეტინგი (2009, 2007 წლები), კვებისა და სასმელების

მენეჯმენტი ტურიზმში (2005, 2009 წლები), კულტურული ტურიზმი (2009 წელი)) სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი ან ჩანაცვლდეს შესაბამისი რიდერებით.

- დაკონკრეტდეს „საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში" სილაბუსის წინაპირობა, რათა კურიკულუმის წინაპირობა შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსში გაწერილ წინაპირობასთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ფორმალიზებულ იქნას ლოგიკური თანმიმდევრობის პრინციპის გათვალისწინებით დაგეგმილი პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობა: „რეკლამა და სტიმულირება"(ინგ.) წინაპირობად მიეთითოს „ტურიზმის მარკეტინგი", „ფინანსების საფუძვლებს" წინაპირობად მიეთითოს „ეკონომიკის საფუძვლები".
  - გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო აქტივობები საერთაშორისო კონფერენციებში, პროექტებში, ლონისძიებებში, კვლევებში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

კურიკულუმს მიღმა განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებში აღინიშნა: გასვლითი ლექციები (მაგ. ეთნოგრაფიული მუზეუმში), „აღმოაჩინე საქართველო სომხეთში", სტუდენტთა კონფერენცია „ღვინის გზა" (გადაცემა ატვირთულია youtube-ზე); სდასუ-ს სატელევიზიო პროგრამები, ტურისტული მარშრუტების პლატფორმის biliki.ge შექმნა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

შესაფასებლად წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდა 2019 წლის 30 მაისის აკადემიური საბჭოს N3 გადაწყვეტილებით. აღნიშნული პროგრამის გადამუშავება მოხდა შრომის ბაზრის კვლევისას გამოვლენილი აქტუალური საკითხების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების (სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი) გამოკითხვის შედეგების ანალიზის და აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში მოდიფიცირდა პროგრამის სტრუქტურა, დაემატა ახალი სასწავლო კურსები, განახლდა სასწავლო ლიტერატურა, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები, შემუშავდა პროგრამის შეფასების ინსტრუმენტები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) მიეკუთვნება საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისთვის (შემდგომში - უნივერსიტეტი) პრიორიტეტულ მიმართულებას და წარმოადგენს სდასუ-ს მრავალწლიანი ტრადიციების გაგრძელებას. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მიზნები ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებაზე არის პროგრამა ორიენტირებული. მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამის მიზანია: „მოამზადოს მიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბაკალავრი ტურიზმში, რომელსაც ექნება ტურიზმის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხების, მსოფლიო და ეროვნული ტურისტული ინდუსტრიის ფუნქციონირების აქტუალური პრობლემების შესახებ ფართო ცოდნა. სტუდენტს გამოუმუშავებს ტურისტული ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით რესურსების გამოყენების, დარგში მიმდინარე პროცესების გაანალიზების, შეფასების, პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრის, შემოქმედებითი აზროვნებისა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარებს; ასევე, გამოუმუშავებს ეროვნული ნორმებისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაციას, პროფესიულ და პიროვნულ პასუხისმგებლობას". კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მომავალი საქმიანობა. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები, განხორციელდა რა შრომის ბაზრის ანალიზი. დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის, ასევე, ზოგადად პროგრამის შეფასების და განხილვის პროცესში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავებისას განხორციელდა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და	

შრომის ბაზრის ზოგადი მოლოდინების ანალიზი. კვლევის პროცესში შერჩეულ იქნა რესპოდენტთა სამი კატეგორია: დამსაქმებელები, ექსპერტი-სპეციალისტები და პროგრამის კურსდამთავრებულები. განხორციელდა ტურიზმის ინდუსტრიის შესახებ სტატისტიკური მონაცემების და შრომის ბაზრის ანალიზი. აღნიშნულის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ძირითადი სავალებულო კურსების საფუძველზე შეისწავლიან ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო კურსებს, ხოლო არჩევითი მოდულები დაკავშირებული იქნება ტურიზმის ბიზნესის მრავალფეროვან სახეობებთან და აქტივობებთან, რაც კურსდამთავებულს შრომის ბაზარზე უფრო მეტ მოქნილობას შესძენს. პროგრამაში გაძლიერებულია ინტერნაციონალიზაციის აქტივობები და იგი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის მისია; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ავტორიზებული პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; ○ თვითშეფასების კითხვარი; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართულნი იყვნენ აფილირებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შრომის ბაზრის ანალიზის და პროგრამის მოდიფიცირების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობის საფუძველზე დადგენილია დარგში არსებული საჭიროებები.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი კვალიფიკაციის დონის აღმწერთან.

დამსაქმებელთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კურსდამთავრებულის დარგობრივი ცოდნა და პრაქტიკული უნარები, არამედ კურსდამთავრებულის ტრანსფერული კომპეტენციები და უნარი სწრაფად და ხარისხიანად გამოიყენოს ის კომპეტენციები, რომლებიც ხელს უწყობენ საშსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას. დამსაქმებლებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ისეთი უნარების არსებობა, როგორიცაა პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების, ახალ სიტუაციასთან ადაპტირების, ინფორმაციის მოძიების, ანალიზის, პრობლემების იდენტიფიცირების და გადაჭრის, სწავლის, ინდივიდუალურად და გუნდში მუშაობის, ეფექტიანი წერითი და ზეპირი კომუნიკაციის, სამუშაოს დაგეგმვის და ორგანიზების, შეფასებისა და თვითშეფასების უნარები. ასევე, დამსაქმებელთა აზრით, მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა ლიდერული და თანამშრომლობითი უნარები, თვითგანვითარების მოტივაცია და კომპეტენციების სრულყოფის უნარი, ღირებულებები, დამოკიდებულებები და პასუხისმგებლობები. პრაქტიკულად იგივე მოსაზრება გამოხატეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, რომლებმაც ამ კომპეტენციების არსებობა მიიჩნიეს მათი, როგორც წარმატებული მოქალაქის ჩამოყალიბების და დასაქმების ხელშეწყობ საშუალებად.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. კურიკულუმის რუკაზე ასახულია პროგრამის ესა თუ ის კომპონენტი რა დონით ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს. რუკის თანახმად თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე (გაცნობა; გაღრმავება; განმტკიცება) ვითარდება. სწავლის შედეგები ფორმულირებულია, როგორც პროგრამის, ასევე პროგრამის თითოეული კომპონენტის დონეზე. პროგრამაში ჩართული პირების ინტერვიუერების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს, რაც დასტურდება სამიზნე ნიშნულების და სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასებების არსებობით. პროგრამაში ჩართული დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებით, რაც მოცემულია პროგრამაში, ცალკეულ სილაბუსში და, ასევე, ანკეტურ კითხვარებში. ამასთან, სტუდენტი მუდმივად იღებს ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ სასწავლო პროცესის განმავლობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესი; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან; ○ ინტერვიუ ავტორიზებული პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	×			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით სხვა

უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის.
სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედი „უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების წესით".
ინფორმაციის საჭიროებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრულ პერიოდში განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სადაც ასევე მითითებულია საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია. პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია აბიტურიენტის ცნობარში.
უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში" აღწერილია საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები.
„სასწავლო პროცესის რეგულირების წესი" განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი"; https://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/06/14/66bcbdc01a91b9b441b80952d1688d7a.pdf ;
- ვებ-გვერდი www.sdasu.edu.ge;
- აბიტურიენტის ცნობარი 2019.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება მოხდა უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად. პროგრამის მოდიფიცირების საფუძველს წარმოადგენდა საკანონმდებლო ცვლილებები, აკრედიტაციის ექსპერტთა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები. უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 24 ნოემბრის N293 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ.) საქმიანობას უმღვებოდა პროგრამის ხელმძღვანელი. შრომის ბაზრის ანალიზის და დამსაქმებლების ჩართულობის საფუძველზე დადგინდა დარგში არსებული საჭიროებები, აკადემიური პერსონალის მიერ, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებით, განისაზღვრა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. განახლდა სასწავლო კურსების ჩამონათვალი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, დაიხვეწა სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მეთოდები, შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, განისაზღვრა პროგრამის სამიზნე ნიშნულები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა განიხილა ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საბჭომ და განსახილველად გადასცა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა (240 კრედიტი, 1 ECTS – 25 საათი) მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს / კომპონენტებს (137 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტს (103 კრედიტი).

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები / კომპონენტები აერთიანებს სავალდებულო სასწავლო კურსებს (99 კრედიტი), პრაქტიკას (10 კრედიტი), საბაკალავრო ნაშრომს (10 კრედიტი) და არჩევით სასწავლო კურსებს (18 კრედიტი).

თავისუფალი კომპონენტი აერთიანებს სავალდებულო (88 კრედიტი) და არჩევით (15 კრედიტი) სასწავლო კურსებს.

პროგრამით გათვალისწინებულია ორი უცხოური ენის (ინგლისური, რუსული) სწავლება. უცხოური ენის კომპონენტი წარმოდგენილია ზოგადი (40 კრედიტი) და დარგობრივი (15 კრედიტი) სასწავლო კურსებით.

პროგრამის ზოგიერთ სასწავლო კურსს (ეკოტურიზმი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, ტურიზმის ეკონომიკა, კულტურული ტურიზმი, აგრო და ღვინის ტურიზმი, კვებისა და სასმელების მენეჯმენტი, ტურიზმის მარკეტინგი თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ტურიზმში, ტუროპერეიტინგი, სასტუმროს ფრონტ-ოფისის მენეჯმენტი, პერსონალის მართვა ტურიზმში, რეკლამა და სტიმულირება ტურიზმში, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.) გააჩნია შესწავლის წინაპირობა.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის დალაგებული. სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა ხდება პრინციპით: მარტივიდან რთულისაკენ. სტუდენტის კომპეტენციების ფორმირება ხდება თანმიმდევრულად, პროგრესირებადი გზით - ახალი კომპეტენციების შეძენით და უკვე არსებულის შემდგომი გაღრმავებით და განმტკიცებით. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერით. საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს კურიკულუმის რუკა, სადაც აღწერილია რომელი სასწავლო კურსი ან/ და კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის და რა დონით ავითარებს მას. კურიკულუმის რუკის თანახმად თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე (გაცნობა; გაღრმავება; განმტკიცება) ვითარდება.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია, რაც ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსების სემესტრული განაწილების ფორმატით. დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით და ასახულია პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობების მატრიცაში. თუმცა, სასურველია, რომ ფორმალიზებულ იქნას ლოგიკური თანმიმდევრობის პრინციპის გათვალისწინებით დაგეგმილი პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობა, „რეკლამა და სტიმულირება"(ინგ.) წინაპირობად მიეთითოს „ტურიზმის მარკეტინგი", „ფინანსების საფუძვლებს" წინაპირობად მიეთითოს „ეკონომიკის საფუძვლები".

მტკიცებულებები/ინდიკატორები
○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია";

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ ავტორიზებული პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ–გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ფორმალიზებულ იქნას ლოგიკური თანმიმდევრობის პრინციპის გათვალისწინებით დაგეგმილი პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობა: „რეკლამა და სტიმულირება"(ინგ.) წინაპირობად მიეთითოს „ტურიზმის მარკეტინგი", „ფინანსების საფუძვლებს" წინაპირობად მიეთითოს „ეკონომიკის საფუძვლები".

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის 240 ECTS კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის, მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. სასწავლო კურსისთვის კრედიტის განსაზღვრა და საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებზე კრედიტის შესაბამისი საათების განაწილების სისწორე ეყრდნობა საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის დატვირთვის შეფასებებს და მოწმდება სტუდენტებთან გასაუბრებისა და აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე. პროგრამის თითოეული კომპონენტის კრედიტი შეესაბამება კონკრეტული კომპონენტის შინაარსს და მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამის სასწავლო კურსის/კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს კომპონენტის შინაარსი, კომპონენტის სპეციფიკის შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა.

პროგრამის სასწავლო კურსის/კომპონენტების სილაბუსებში მითითებულია: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი, ლექტორ(ებ)ი, სასწავლო კურსის მიზნები, კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები), სასწავლო კურსის წინაპირობა (არსებობის შემთხვევაში), სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა, ძირითადი ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და რიდერები.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ რიგ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად ახალ გამოცემებთან ერთად გამოყენებულია მოძველებული სასწავლო ლიტერატურა: PR-მენეჯმენტი (2007, 2006 და 2011წლები),ტურიზმის დაგეგმვა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე (2010 წელი); დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი (2007, 2010, 2011 წლები), სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი (2008, 2011წლები), პერსონალის მართვა ტურიზმში (2011 წელი) , ტურიზმის მარკეტინგი (2009, 2007 წლები), კვებისა და სასმელების მენეჯმენტი ტურიზმში (2005, 2009 წლები) , კულტურული ტურიზმი (2009 წელი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- განახლდეს ზემოთჩამოთვლილი სასწავლო კურსების სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი ან ჩანაცვლდეს შესაბამისი რიდერებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პრაქტიკა (10 ECTS კრედიტი) წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს და გათვალისწინებულია პროგრამის მე-8 სემესტრში.

პრაქტიკის პროცესი მიმდინარეობს პრაქტიკის ხელმძღვანელთან კონსულტაციების, მენტორთან უშუალო მუშაობის, მისი მითითებების, მიცემული დავალებების შესრულების და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატით. სტუდენტი პრაქტიკის ადგილზე ჩაერთვება დაწესებულების პროფესიულ საქმიანობაში, აწარმოებს პრაქტიკის დღიურს და შეადგენს პრაქტიკის ანგარიშს. პრაქტიკის დასრულების შემდეგ ხდება პრაქტიკის

ანგარიშის დაცვა.

პრაქტიკის გავლის შემდეგ სტუდენტი:

- შესწავლილ თეორიებსა და პრინციპებს აკავშირებს პრაქტიკულ საქმიანობასთან;
- პრაქტიკაში იყენებს კლიენტებთან მუშაობის ტექნოლოგიას - მათთან ურთიერთობას (ზეპირსა და წერითს), მათი მიღების ტექნიკას, ეტიკეტის დაცვის, საქმიანი მიმოწერის წესებსა და სხვ.;
- ასაბუთებს ტურისტულ საქმიანობაში ინფორმაციის დამუშავების, ფუნქციონალური ქვედანაყოფების საქმიანობის შედეგებისა და საბაზრო კონიუნქტურის ანალიზის მნიშვნელობას;
- ამზადებს ტურისტულ პროდუქტებთან დაკავშირებულ წინადადებებს და ინფორმაციულ- კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით წარადგენს როგორც სპეციალისტებთან ასევე არასპეციალისტებთან;
- იყენებს ორგანიზაციის შეფასების მეთოდებს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისათვის;
- ცნობს პროფესიული ეთიკური სტანდარტების საჭიროებას;
- პატივს სცემს სხვა ქვეყნებისა და ხალხების კულტურასა და ჩვეულებებს ეროვნული, რასობრივი, კონფესიური განსხვავებების ჩათვლით. პრაქტიკის ანგარიშის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში.

მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტმა გააძლიერა დამსაქმებლებთან თანამშრომლობა. გააფართოვეს როგორც დამსაქმებელთა რაოდენობა, ისე დამსაქმებლები საქმიანობის პროფილის მიხედვით.

უნივერსიტეტს პრაქტიკის ობიექტებთან (შპს „ჯითიერ"; შპს „დეკმაკა" (სასტუმრო „სოლე პალასი"); მრავალპროფილიანი ტურისტული კომპანია „აღმოაჩინე საქართველო"; რესტორანი „კარაველა"; University College of Tourism and Ecology (Sucha, Beskidzka, Poland); სასტუმრო„ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი"; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი"; ა(ა)იპ ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემია; შპს „ფანი თრეველ ჯორჯია"; შპს „ჰერცოგი" (რესტორანი); სასტუმრო „ჯორჯიან ჰოლიდეი"; შპს "ლაქი ვეი" (ტურისტული კომპანია).) გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და მოვალეობები და სხვა.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა პროექტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში (სტუდენტთა 27-ე სამეცნიერო კონფერენცია. 2019 წელი - გამომსვლელთა თემები - საკურორტო და სამედიცინო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში, ყვარელის ტურისტული პოტენციალი, მწვანე ტურიზმი - სიღარიბის დაძლევის ალტერნატივა). წარმატებული სტუდენტების ტურები განთავსებულია travelgis.ge-ზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი", რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების კვლევითი, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერას, მათი ნიჭის გამოვლენის, თვითრეალიზების ხელშეწყობის და თავისუფალი დროის ეფექტიანად გამოყენების

უზრუნველსაყოფად.
უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების დებულება", რომლის მიზანია საშეწყობი შესაძლებლობების განვითარებითა და ფინანსური რესურსებზე ხელმისაწვდომობით სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველყოფა. დებულება ითვალისწინებს ბიზნესის დაწყების მიზნით სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ წარმოდგენილი ბიზნეს პროექტების საკონკურსო შერჩევას, გამარჯვებული პროექტების გამოვლენას და დაფინანსებას.
უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პოლონეთის ტურიზმისა და ეკოლოგიის კოლეჯთან (University College of Tourism and Ecology (Sucha Beskidzka, Poland)). მემორანდუმის ფარგლებში იგეგმება კონფერენციების, საჯარო ლექციების ჩატარება და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება, ასევე პირველ ეტაპზე იგეგმება პროფესორ-მასწავლებლების გაცვლითი პროგრამების განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- საკონფერენციო მასალები და საბაკალავრო ნაშრომები (გამოცემული უნივერსიტეტის მიერ).
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან.
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
- პრაქტიკის სილაბუსი;
- საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურთან, პროგრამის კომპონენტის მიზანთან, სწავლის შედეგებთან, კომპონენტის შინაარსთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობის, ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყენება სწავლა-სწავლების განსხვავებული მეთოდები, რაც წარმოდგენილია სილაბუსებში. პროგრამა 12 შედეგზე გადის. 1- 4 - ცოდნა - გაცნობიერების შედეგებია, 5-10 - უნარების გამომუშავებას, ხოლო 11-12 - პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის განვითარებას ეხახურება. პროგრამის სწავლის შედეგებთან ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების კავშირი ასახულია კურიკულუმის რუკაზე. აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა სწავლის შედეგების სწავლა - სწავლების და შეფასების მეთოდებთან ურთიერკავშირის დადგენა. თითოეულ სასწავლო კურსს თან ახლავს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელშიც მოცემულია შეფასების კონკრეტული მეთოდები. მაგალითად, ცოდნა - გაცნობიერების შედეგების მისაღწევად, ძირითადად გამოიყენება ზეპირი გამოკითხვა, ტესტი, ამოცანის ამოხსნა, თეორიული საკითხი, ღია კითხვა; უნარების გასავითარებლად - ამოცანის ამოხსნა, პრეზენტაცია, ქვიზი, მაგალითის განხილვა; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის შედეგის შესაფასებლად - ზეპირი გამოკითხვა, წერითი ნაშრომი, თეორიული საკითხი, პრეზენტაცია, კითხვა - პასუხი და ა.შ.

სწავლება - სწავლის მეთოდების შერჩევა გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების (მაგ.: კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემის გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების, განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზის, დასკვნების ჩამოყალიბების, პრობლემებისა და გადაჭრის

გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციის და სხვ.), პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის (განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვის, ეთიკის პრინციპების დაცვის, სწავლის საჭიროებების დადგენის და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელების და სხვ.) გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების შეფასება დადგენილი პროცედურების შესაბამისად ხორციელდება, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

პროგრამის კომპონენტში გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ კომპონენტში დაგეგმილი შედეგების მიღწევას, ხოლო ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა - მთლიანად პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესრულება, ხელმძღვანელის დადებითი დასკვნა და რეცენზენტის დადებითი შეფასება.

თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ „საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში" სილაბუსისა და პროგრამის კურიკულუმის სასწავლო გეგმას შორის წინაპირობების შეუსაბამობას აქვს ადგილი. კერძოდ, პროგრამის კურიკულუმით საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად განსაზღვრულია სხვადასხვა სავალდებულო კომპონენტები/სასწავლო კურსები, ხოლო სილაბუსში ვკითხულობთ, რომ „საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაზე სტუდენტი დაიშვება, იმ შემთხვევაში თუ მას ათვისებული ექნება ის სავალდებულო კომპონენტები, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად. დაცვაზე დასაშვებად კი საჭიროა საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესრულება (მინ. 230 ECTS კრედიტის დაგროვება), საბაკალავრო ნაშრომზე ხელმძღვანელის დადებითი დასკვნა და რეცენზენტის შეფასება (მინ 31 ქულა, მაქს. 60 ქულა)". წინაპირობებს შორის არსებული განსხვავება დაფიქსირდა ხელმძღვანელთან და სკოლის დეკანთან ინტერვიუირების პროცესში, გამოიკვეთა, რომ 230 ECTS კრედიტი არის საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- პროგრამის სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და დეკანთან;

რეკომენდაციები:

- დაკონკრეტდეს „საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში" სილაბუსის წინაპირობა, რათა შესაბამისობაში მოვიდეს კურიკულუმის წინაპირობა სილაბუსში გაწერილ წინაპირობასთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შედგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს. ყველა სასწავლო კურსისთვის შუალედური შეფასებების მაქსიმალური ზღვარია 60 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასებისთვის - 40 ქულა. თუმცა თითოეული სასწავლო კურსისთვის შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტები განსხვავებულია, რაც განპირობებულია სასწავლო კურსის სპეციფიკით და მისაღწევი მიზნებით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია ორივე მათგანში. ეს ყველაფერი ნათლად არის ასახული სასწავლო კურსების სილაბუსებში, თუმცა გვაქვს მცირე რაოდენობის ტექნიკური ხარვეზი (გასასწორებელია ქულების განაწილება სილაბუსებში: "აკადემიური წერა", "ფერონტოფის მენეჯმენტი" და „ფსიქოლოგიის საფუძვლები". საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში უნდა აისახოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მეცხრე პუნქტში არსებული შეფასების სრული განაწილება, ხოლო სილაბუსებში: „საქმიანი ურთიერთობის ეთიკისა" და „ლიდერობა მართვის ხელოვნების" თეორიული შეფასების კომპონენტში მოხდეს ქულების სრულად გაწერა).სილაბუსები განთავსებულია ელექტრონულ პორტალზე, რომელზეც სტუდენტებს შეუზღუდავი წვდომა აქვთ. აღსანიშნავია

ელექტრონული პორტალის გამართული მუშაობის საკითხი, საიდანაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ და ატვირთონ დავალებები, გაეცნონ მასალას და, ასევე, აწარმოონ მიმოწერა ლექტორებთან. აქვე, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება იხილონ მიღებული ქულები.

სასწავლო სილაბუსებში ასახულია მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები, გასაჩივრების პროცედურები გაწერილია დოკუმენტებში და სტუდენტებსაც აქვთ ინფორმაცია ამის შესახებ.

სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე და ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა ენების ცენტრთან, ინგლისური და გერმანული ენების სწავლების დონის ასამაღლებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ელექტრონული პორტალი www.emis.sdasu.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		×		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინტერვიუდან გაირკვა, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საკონსულტაციო სერვისების შესახებ და საჭიროებისამებრ იყენებენ მათ. მათთვის საჭირო ინფორმაციას სტუდენტები უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებითაც ეცნობიან. სტუდენტები ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავებაში, აქვთ აქტიური კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ყოველწლიურ ადგილობრივ კონფერენციებში, მათი ნაშრომები გამოიცემა კრებულის სახით, რომელსაც გავეცანით ვიზიტის დროს. თუმცა, სტუდენტები ამჟამად არ არიან ჩართულნი საერთაშორისო აქტივობებში - საერთაშორისო კონფერენციებში, პროექტებში, ღონისძიებებში, კვლევებში თუ გაცვლით პროგრამებში. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით მიმდინარეობს მუშაობა და დასახულია კონკრეტული საამომავლო გეგმები. კერძოდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს ერასმუს + საქართველოს ოფისის წარმომადგენლებთან ევროპის პარტნიორი

უნივერსიტეტების მოძიების მიზნით. ამასთან, სტუდენტები აღნიშნავენ გასვლითი ლექციების და უნივერსიტეტში სხვა დამატებითი აქტივებების, კერძოდ, საჯარო და გასვლითი ლექციების, სდასუ-ს მუსიკალური ბენდის, სდასუ-ს ტელევიზიის შესახებ და სხვა. სტუდენტები არიან ინფორმირებულები მათი სხვადასხვა ინიციატივების უნივერსიტეტისგან მხარდაჭერის შესახებ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებს განათლებისა და კარიერის წარმართვასა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში. ცენტრს აქვს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მონაცემების ბაზა და სისტემატურად ახორციელებს ელექტრონულად ინფორმაციის მიწოდებას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ამასთან, ტარდება საინფორმაციო შეხვედრები. სტუდენტებს შეუზღუდავი წვდომა აქვთ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებით რჩევებისა და კონსულტაციების მიღების თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საშეცნიერო კონფერენციების კრებულები;
- მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: sdasu.edu.ge
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო აქტივობები; საერთაშორისო კონფერენციებში, პროექტებში, ღონისძიებებში, კვლევებში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- კურიკულუმს მიღმა განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებში აღინიშნა გასვლითი ლექციები (მაგ. ეთნოგრაფიული მუზეუმში), „აღმოაჩინე საქართველო სომხეთში" , სტუდენტთა კონფერენცია „ ღვინის გზა" (გადაცემა ატვირთულია youtube-ზე); სდასუ-ს სატელევიზიო პროგრამები, ტურისტული მარშრუტების პლატფორმის biliki.ge შექმნა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე წიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	×			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ სამუმსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ სპეციალისტებს აქვთ პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები და შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც დასტურდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში – უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობით, ბოლო 5 წელიწადში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით; მოწვეული სპეციალისტების კვალიფიკაცია დასტურდება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილების და კომპეტენციის ქონით: დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით, სამეცნიერო ნაშრომებით და სხვ. უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის (38 ადამიანის) საქმიანობა და დატვირთვა რეგულირდება „აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესის" შესაბამისად. უნივერსიტეტში დატვირთვის, ფუნქციების და შრომის ანაზღაურების მიხედვით განასხვავებენ პერსონალის შემდეგ პოზიციებს:

- აფილირებულ აკადემიურ პერსონალს (10 ადამიანი);
- აკადემიურ (არააფილირებულ) პერსონალს (12 ადამიანი) ;
- სამეცნიერო პერსონალს/მკვლევარს;
- მოწვეულ პერსონალს (16 ადამიანი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ადგილობრივი პროფესორ-მასწავლებლებს ჩაბარებული აქვთ საბაზისო დარგები და მიმართულებები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. კერძოდ, ძირითად და აკადემიური პერსონალს მიყავს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, საქართველოს ისტორია, სტატისტიკა ტურიზმისთვის, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტურიზმის საფუძვლები, ტურიამის მარკეტინგი, სასტუმრო ინდუსტრია, აგრო და ღვინის ტურიზმი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, ეკოტურიზმი, გიდის ხელოვნება, ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში, ტურიზმის უსაფრთხოება, პერსონალის მართვა ტურიზმში, მენეჯმენტის საფუძვლები, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ტურიზმში (ინგ), ფინანსების საფუძვლები და ინვესტიციები ტურიზმში, რეკლამირება და სტიმულირება ტურიზმში (ინგ), MICE - ტურიზმი, საღავგადასავლო ტურიზმი, სამეწარმეო სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და სხვ.

მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს შემდეგ სასწავლო კურსებს: ტუროპერეინინგი, ტურიზმის დაგეგმვა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე, კვებისა და სასმელების მენეჯმენტი ტურიზმში, ტურიზმის ეკონომიკა, საფაევგადასავლო ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, საქართველოს ეთნოგრაფია და ეთნოლოგია, ინგლისური ენა, დარგობრივი ინგლისური ენა, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, მსოფლიო ხელოვნების ისტორია, საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია, რელიგიური ტურიზმი, სასტუმროს ფრონტ-ოფისის მენეჯმენტი, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი და სხვა.

უნივერსიტეტი წელიწადში არანაკლებ ერთხელ აფილირებულ აკადემიურ პერსონალს უფინანსებს უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში სამეცნიერო კვლევების ორგანიზების, სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო ნაშრომის (მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, თარგმანის, სტატიის და სხვა) გამოცემის ხარჯებს.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობა, კომპეტენტურობა და უნარი გაუმღვევს სასწავლო პროცესს, ფასდება სასწავლო პროცესის მონიტორინგით და სტუდენტთა გამოკითხვებით.

2018 - 2019 სასწავლო წელს უნივერსიტეტმა ჩაატარა სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მასშტაბური კვლევა, რის საფუძველზეც შემუშავდა აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

2019 წლის იანვარში ჩატარდა ტურიზმის პროგრამის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14 სტუდენტმა (100%). კვლევის შედეგების ანალიზმა გამოავლინა: პროგრამის განმახორციელებლების კვალიფიკაციით სავსებით კმაყოფილია სტუდენტთა 93 %. სტუდენტთა 7 % მიერ პროგრამის განმახორციელებლების კვალიფიკაცია მაქს 5 ქულიდან შეფასდა 4 ქულით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საქმიანობით სავსებით კმაყოფილია სტუდენტთა 100 %.სტუდენტთა 86 % დამხმარე პერსონალის საქმიანობა შეაფასა მაქს. 5 ქულით, 14 % - 4 ქულით (მაქს. 5 ქულიდან).

ყოველი წლის ბოლოს ადგილი აქვს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და პროფესიული განვითარების, ახალი სამეცნიერო შრომების შესახებ ინფორმაციის განახლებას.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის საჭირო ცოდნა და კომპეტენციები. იგი აქტიურად არის წარმოდგენილი როგორც პროგრამის დაგეგმვა - განხორციელების და განვითარების, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროცესის წარმართვის მსვლელობაში.

აგრეთვე, უნივერსიტეტის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობის და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთაც აქვთ შესაბამისი ფუნქციებს განხორციელების კვალიფიკაცია.

აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა აღრიცხულ სტუდენტების რაოდენობის მიმართ - 10/13;

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან - 22/16.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტრუქტურული ერთეულების დებულებები https://sdasu.edu.ge/ka/chven-shesakheb/normatiuli-baza);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ხელშეკრულებათა ფორმები;
- „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია";
- გასაუბრება რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, მოწვეულ და ადგილობრივ

პროფესორებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან. ○ გასაუბრება ავტორიზებული პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიმნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ შეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომლის მიზანია განსაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები, შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები და მიღებული შედეგების გამოყენების პროცედურა.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშესაწყობად უნივერსიტეტში შექმნილია შესაბამისი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები და სხვ.).

სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის და პერსონალის მართვის სამსახურის მიერ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა/დაფინანსდა ტრენინგები, კერძოდ:

აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის:

- ტრეინინგი თემაზე „სამეცნიერო საგრანტო განაცხადის მომზადება." ტრეინინგის თემატიკა: საგრანტო განაცხადის სტრუქტურა და მისი მნიშვნელობა, ბიუჯეტი და მისი დასაბუთება, საგრანტო კონკურსის მოძიება. 2018 წლის 15 ნოემბერი;
- ტრეინინგი თემაზე „აკადემიური პლაგიატი, მისი გამოვლენა და პრევენცია". 2018 წლის 17 დეკემბერი;
- ტრეინინგი თემაზე „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ღირებულებითი განათლების მეთოდოლოგია". 2019 წლის 22 იანვარი.

ადმინისტრაციული პერსონალისთვის:

- ტრენინგი თემაზე: „ორგანიზაციული ქცევა - მენეჯერული დისციპლინა სამუშაო სივრცეში შრომის ეფექტიანობისა და მომუშავის ორგანიზაციისადმი ძიძღვნადობის გასაუმჯობესებლად" ჩატრდა. 2018 წლის 18 მაისი;
- ტრეინინგი თემაზე „ორგანიზაციული განვითარების ინსტრუმენტები". 2019 წლის 13 თებერვალი;
- ტრეინინგი თემაზე „საქმისწარმოებისა და საარქივო საქმის სალექციო კურსი". საქართველოს ეროვნული არქივი 2019 წლის 11-15 თებერვალი. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომლებმა;
- ტრეინინგი თემაზე „სასწავლო დაწესებულებების და რეგიონალური ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკართა გადამზადების ზოგადი პროგრამა". საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია. 2019 წლის 18 თებერვალი - 1 მარტი და სხვ.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში განხორციელდა აკადემიური პერსონალის სხვადასხვა აქტივობები: საჯარო ლექციები, წიგნის პრეზენტაციები, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები შემდეგია:

ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები -106;

საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები 30;

ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 26;

საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენები - 105; სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - საგრანტო პროექტებში მონაწილეობა - 17; სახელმძღვანელოების გამოცემა -24; რეცენზიტობა, ოპონენტობა – 5, ტრეინინგები-16.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი"; ○ საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, კონფერენციები და სხვ.); ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ შეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. (სათანადო ინვენტარით აღჭურვილია აუდიტორიები, არსებობს აკრედიტირებული ტელეკლასი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მაუწყებლობს. სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლევათ შეიმუშავონ და გააკეთონ ტურიზმის სფეროში შესაბამისი გადაცემები. ყოველკვირეული გადაცემა „ღვინის გზა" აშუქებს ტურიზმში არსებული ვითარებას და პრობლემებს. გადაცემაზე მუშაობენ სტუდენტები. უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკა განახლებადი წიგნადი ფონდით, კომპიუტერული ტექნიკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურა, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზა, უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად იყენებენ ბიბლიოთეკაში არსებულ ქართულ და უცხოურ სახელმძღვანელოებსა და მასალებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სრულყოფილი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები; ○ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზა (როგორც ბეჭდითი, ისე ელექტრონული); ○ გასაუბრება რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ძირითად და მოწვეულ პერსონალთან; ○ გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიმუში ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

◊ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სკოლის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამის სწავლების ხარისხის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ელექტრონული დაჯავშნის პროგრამის შეძენა. ინტერვიუს პროცესში ადმინისტრაციულმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათთვის ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსი, ფინანსდება ყველა კარგი ინიციატივა. აღინიშნა, რომ მიმდინარე წლიდან განსაზღვრულია სტუდენტთა ბიზნეს - გეგმების დაფინანსება.უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მხარდაჭერა გამოთქვა უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სკოლის დეკანთან;

○ უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-ს უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲗ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნული კომპონენტთან შესაბამისობა × შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	×			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს. პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიით" რეგულირდება. მასში გათვალისწინებულია „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლი, რომელიც შრომის ბაზრის კვლევის, შემუშავებული კითხვარების საფუძველზე ჩატარებული სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ახორციელებს პროგრამის გასავითარებლად საჭირო ცვლილებების დაგეგმვას და დანერგვას. პროგრამის შეფასების პროცედურებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი ახორციელებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება სამოქმედო გეგმა. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია თვითშეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები, რომლებიც პროგრამების განვითარების, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, ფინანსური ეფექტიანობის ამაღლების და სხვა ღონისძიებების გატარებისკენ არის მიმართული. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულნი არიან როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები"; ○ გამოკითხვის ფორმები და გზამკვლევები; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): - პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება - გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის შეფასებას ახორციელებს სსიპ - განათლების ხარისის განვითარების ეროვნული ცენტრი. აკრედიტაციი ექსპერტთა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები განხილულ იქნა უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საბჭოს მიერ. პროგრამის მოდიფიცირების მიზნით რექტორის 2018 წლის 24 ნოემბრის N293 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები. ჩატარდა მრავალი სამუშაო შეხვედრა. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებები აისახა ოქმებში. პროგრამის გადამუშავება მოხდა შრომის ბაზრის კვლევისას გამოვლენილი აქტუალური

საკითხების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების (სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი) გამოკითხვის შედეგების ანალიზის და აკრედიტაციის ექსპერტების და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე. პროგრამაში შესულია შემდეგი სახის ცვლილებები: საგანმანათლებლო პროგრამაში მოდიფიცირდა პროგრამის სტრუქტურა, დაემატა ახალი სასწავლო კურსები. გადამუშავდა სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მეთოდები, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები, განახლდა ლიტერატურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების კითხვარი და თანდართული დოკუმენტაცია; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: ნიშადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამის შემუშავების პროცესის პარალელურად უნივერსიტეტში ჩატარდა პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული ჯგუფების გამოკითხვა, პროგრამის განხორციელებასთან, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და აკადემიური მომსახურების ხარისხთან, ინფრასტრუქტურის სრულყოფასთან, პროგრამის გარე აქტივობებთან, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით. აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების საკვლევი საკითხი იყო აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისა და მისი ცალკეული ასპექტებისადმი, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების მიმართ. საკვლევი ასპექტები მოიცავდა: უნივერსიტეტის ზოგადი შეფასებას; საუნივერსიტეტო გარემოს ზოგადი პარამეტრებს; შრომითი ურთიერთობებს; კომუნიკაციის მექანიზმებს; მატერიალურ-ტექნიკური გარემოს; სასწავლო პროცესა და სერვისებს; მონიტორინგის მექანიზმებს; საუნივერსიტეტო პროცესებში ჩართულობას, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობასა და საერთაშორისო მობილობას; კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას; კურიკულუმის გარეშე აქტივობებს - თვითშეფასებას. ჩატარებული კვლევა ავლენს აკადემიური პერსონალის სრულ კმაყოფილებას უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობით, საპროფესოროებით, კომპიუტერების რაოდენობით, სიმძლავრითა და ხარისხით, პროგრამული უზრუნველყოფით, ბიბლიოთეკითა (ელექტრონული ბაზები, წიგნები, სასწავლო მასალა, აღჭურვილობა) და საბიბლიოთეკო სივრცეებით, ასევე არასასწავლო დანიშნულების სივრცეებით და სამუშაო გარემოთი, სასწავლო ინვენტარით, თეორიული სწავლების აუდიტორიებით. მაღალი შეფასება ეძლევა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სერვისებს, უნივერსიტეტში და სასწავლო ბაზებში უსაფრთხოების ნორმების დაცვას, პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს, პუბლიკაციების გამოცემასა და სამეცნიერო კვლევის განსახორციელებლად უნივერსიტეტის მხარაჭერას. კვლევის საფუძველზეც გაკეთდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ეხება იმ ფაქტორების შემდგომ განვითარებას, რაც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კმაყოფილების მაღალ ხარისხს განაპირობებს; აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, აგრეთვე ინტერნაციონალიზაციის პროცესებში მისი ინტეგრირების

ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერებას რეგიონულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის გაფართოებით; კურიკულუმის გარეშე აქტივობების შემდგომი განვითარებას; ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთაშორისო მობილობის გააქტიურება უცხოურ უნივერიტეტებთან თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებითა და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ინტეგრირების ხარისხის გაღრმავების გზით.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვების შედეგების ანალიზმა კი ცხადყო, რომ უნივერსიტეტის ყველა გამოკვლეული ასპექტის გათვალისწინებით, მიზნობრივი ჯგუფის დამოკიდებულება, ზოგადად, დადებითია - თითოეული ასპექტის მიმართ ჯგუფის დიდი უმრავლესობა მკვეთრად გამოხატულ დადებით განწყობას ამჟღავნებს; კერძოდ, სამუშაო გარემო, შრომითი ურთიერთობები (ნორმატიული დონე), კომუნიკაციის მექანიზმები და მატერიალურ-ტექნიკური გარემო საკვლევ საკითხთან მიმართებაში უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებს წარმოადგენს; საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მაქსიმალურადაა უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობა; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში მაღალია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობის დონე; ვლინდება კვების ობიექტით კმაყოფილება; შრომითი ურთიერთობების პერსონალური დონის მაჩვენებლები შესაბამისობაშია ნორმატიულ მაჩვენებლებთან; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონიტორინგის მექანიზმების შეფასება მკვეთრად დადებითია.

უნივერსიტეტის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურული გარემო და ძირითადი სამუშაო ნორმების დაცვა ზოგადი პოზიტიური დამოკიდებულებების მაღალ ხარისხს განაპირობებს; მაღალია პერსონალურ დონეზე საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, შეფასებისა და განვითარების პროცესებში ჩართულობა, მონიტორინგისა და წახალისების მექანიზმებით კმაყოფილება; პოზიტიური დამოკიდებულება კვების ობიექტით კმაყოფილებასთან მიმართებით; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონიტორინგის მექანიზმები ეფექტურია.

პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველ სასწავლო კურსს სტუდენტები აფასებენ კითხვარების მეშვეობით. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები";
- გამოკითხვის ფორმები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	×			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა ტურიზმი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	×			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		×		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	×			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	×			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	×			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ეკა ლეკაშვილი
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი
მანანა ვასაძე
მარიანა იმნაძე
ელენე სეთყურიძე